



საქართველო  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 53  
21/08/2017

53-06-4-201708211702



განკარგულება №53  
21 აგვისტო, 2017 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე  
სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, საკრებულომ

*გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :*

**მუხლი 1.** სააგიტაციო მასალის განთავსება აიკრძალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ: საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, პოლიციის შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.

**მუხლი 2.** განისაზღვროს ადგილები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად (დანართი თან ერთვის).

**მუხლი 3.** ამ განკარგულების მე-2 მუხლით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა, სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს სხვა ობიექტებზეც, მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

**მუხლი 4.1.** ამ განკარგულების თანდართულ დანართში გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილებით.

2. ამ განკარგულების თანდართულ დანართში გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი).

3. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით, ამ განკარგულების თანდართულ დანართში განსაზღვრულ ადგილებზე, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე, ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 5000 ერთეულით.

**მუხლი 5.** დაევალოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს სააგიტაციო მასალის განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნოს ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

**მუხლი 6.** ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივნისის N41 განკარგულება.

**მუხლი 7.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.№14).

**მუხლი 8.** განკარგულება ძალაშია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების დანიშვნის დღიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

